17/02/2012

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია № BG123-31747

გარანტი: სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L Internatioanal" (ს/კ 211358494)
პრინციპალი: შპს ჯენერალ ქონსთრაქშენ კომპანი (ს/კ 404383546)
ბენეფიციარი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
საფუძველი: 2012 წლის 03 თებერვლის №162/01/21 ხელშეკრულება

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა – "საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეაბილიტაციის" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებში მომავლის კლასების მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 11000 (თერთმეტი ათასი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე,

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 05 აგვისტოსი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L Internatioanal" (ს/კ 211358494), შემდეგ მისამართზე: სათაო ოფისი, ჭავჭავაძის გამზ. №20, თბილისი, 0179, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება
. საბანკო გარანტიის ვადის გასვლით
. ბენეფიციარიეს მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ალექსანდრე [illegible]
გენერალური დირექტორი